1ლ

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
28.10.10 N 143
თბილისი

სტუ-ს წარმომადგენლობითი
საბჭოს არჩევნების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, "მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 ოქტომბრის № 339 დადგენილების და წარმომადგენლობით საბჭოს 2010 წლის 21 ოქტომბრის № 54 სხდომის № 4 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010 წლის 29 ოქტომბრიდან დაიწყოს წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების და ბიბლიოთეკის წარმომადგენლების არჩევნების პროცესი ქვემოთ მითითებული ვაკანსიების მიხედვით:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 3 ვაკანსია, მათ შორის 2 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 2 ვაკანსია, მათ შორის 1 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
- ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი – 6 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 8 ვაკანსია, მათ შორის 5 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;

- ბიბლიოთეკა – 1 ვაკანსია.
- სულ 36 ვაკანსია, მათ შორის 23 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან, 1 – ბიბლიოთეკიდან და 12 – სტუდენტებიდან;

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტებს, სრულ, ასოცირებულ ან/და ასისტენტ პროფესორებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს; კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.
3. ფაკულტეტის წარმომადგენლობის კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლობის კანდიდატებმა – აკადემიური საბჭოში; განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი და ცნობა სტუ-ში დაკავებული თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 8 ნოემბერს და დასრულდეს 17 ნოემბერს. არჩევნები გაიმართოს რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს – 24 ნოემბერს; ფაკულტეტის წარმომადგენლების არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლისა – აკადემიური საბჭოში.
5. არჩევნები ჩატარდეს "მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების შესაბამისად.
6. არჩევნების შედეგები გამოიკრას არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*